ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4173268

ნომერი: AR1624464

თარიღი : 24.08.2018

გაცემის თარიღი : 17.09.2018

გაცნობის თარიღი : 17.09.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გაგარინი , N 6 , (ნაკვეთი N21/8) ; ქალაქი თბილისი , ქუჩა გაგარინი , N 6 , (ნაკვეთი N21/9);

დამკვეთი-განმცხადებელი
- ლევან ჭეჟია პ/ნ 62001009785
- გაგარინის 6

ორგანიზაცია:
- შპს კა ენდ ელ კომპანი კოდი: 405114111

ნომენკლატურა :
- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 18 მაისის №3968736 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 24 აგვისტოს NAR1624464 განცხადებით მომართა ლევან ჭეჭიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 18 მაისის №3968736 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 18 მაისის №3968736 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი - საბურთალო, ქუჩა გაგარინი, N6, (ნაკვეთი N21/8)/ქალაქი თბილისი, ქუჩა გაგარინი, N6, (ნაკვეთი N21/9), შპს "კა ენდ ელ კომპანი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.10.12.021.010), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 18 მაისიდან 2019 წლის 18 იანვრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2018 წლის 18 მაისის №3968736 ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენბლებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა. კერძოდ, საოფისე ფართობი - 428.0 კვ.მ.-ის ნაცვლად უნდა იყოს - 384.6 კვ.მ. საზაფხულო ფართობი 518.6-ის ნაცვლად - 517.0 კვ.მ, ავტოსადგომების ფართობი 673.4-ის ნაცვლად - 644.0 კვ.მ. რაც გამოიწვევს საერთო ფართობის ცვლილებას და 3305.8 კვ.მ-ის ნაცვლად შეადგენს 3231.4 კვ.მ.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა-ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები ფართების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად ჩათვალა განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება და ტექნიკური შეცდომის გასწორება სამსახურის 2018 წლის 18 მაისის №3968736 ბრძანებაში.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59–ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 18 მაისის №3968736 ბრძანებაში და ბრძანების ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებში დაფიქსირდეს: საოფისე ფართობი: 384.6 კვ.მ. საზაფხულო ფართობი: 517.0 კვ.მ, ავტოსადგომების ფართობი: 644.0 კვ.მ. საერთო ფართობი: 3231.4 კვ.მ.
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 18 მაისის №3968736 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 18 მაისის №3968736 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.